ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 14
29/04/2020

14-04-4-202004291656

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით, ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ თითოეულ აღსაზრდელზე განკუთვნილი სურსათის პროდუქტების მათზე გაცემის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით ბაგა-ბაღებში შეწყდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს“ მიერ სრულად არის შესყიდული მიმდინარე წლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მომსახურება. შესაბამისად, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებზე დახმარების გაწევის მიზნით, უსასყიდლოდ შესაძლებელია განხორციელდეს შესყიდული სურსათის პროდუქტების (გარდა მალეფუჭებადი პროდუქტის) გაცემა საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით, განხორციელდეს ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გზით შესყიდული, აღსაზრდელებისათვის განკუთვნილი სურსათის პროდუქტების (გარდა მალეფუჭებადი პროდუქტის) მათთვის დახმარების გასაწევად უსასყიდლოდ გადაცემა.
2. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) უზრუნველყოს საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის გამო, ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გზით შესყიდული, აღსაზრდელებისათვის განკუთვნილი სურსათის პროდუქტების (გარდა მალეფუჭებადი პროდუქტის) მათზე უსასყიდლოდ გაცემისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე